სსიპ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

30.09.2011 N 110

თბილისი

სტუდენტთა მობილობის წესით ჩარიცხვის შესახებ
სტუ-ს 2011 წლის 28 სექტემბრის N103 ბრძანების
ნაწილობრივი ცვლილების შესახებ

„უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებისა და სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 30 სექტემბრის N817 ბრძანების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

ნაწილობრივ შეიცვალოს სტუ-ს 2011 წლის 28 სექტემბრის N103 ბრძანების ქვემოთ მითითებული პუნქტები და ისინი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. სსიპ – საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2011-2012 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველებმა, სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პორტალზე რეგისტრაციის შემდეგ (30 სექტემბრიდან 1 ოქტომბრის ჩათვლით), განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია (დანართი 1) უნდა წარმოადგინონ ტექნიკურ უნივერსიტეტში 2011 წლის 30 სექტემბრიდან 3 ოქტომბრის ჩათვლით 10^{00} საათიდან 16^{00} საათამდე (თბილისი, კოსტავას 77, ადმინისტრაციული კორპუსი, მე-3 სართული, ოთახი N350);
4. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დეკანის ფუნქციის შემსრულებლებმა (ზ.გედენიძე, გ.არაბიძე, ა.აბშილავა, ნ.წერეთელი, ო.გელაშვილი, გ.მიქიაშვილი, რ.ქუთათელაძე, ზ.წვერაიძე) მოამზადონ მოტივირებული დასკვნები და წარადგინონ ისინი სწავლების დეპარტამენტში არსებული წესის თანახმად (დანართი 2) არა უგვიანეს 3 ოქტომბრისა;
7. სსიპ – საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2011-2012 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველთა შესახებ ბრძანების პროექტის

მომზადება და თანდართული დოკუმენტაციით წარდგენა სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში უზრუნველყოს სწავლების დეპარტამენტმა 2011 წლის 4 ოქტომბერს.

რექტორი *ა. ფრანგიშვილი*

ვიზები:

რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში
ლ. კლიმიაშვილი

სწავლების დეპარტამენტის უფროსი
ი. ლომიძე

იურიდიული დეპარტამენტის უფროსი
ბ. მაისურაძე